COVID-19 პანდემიის მართვისა და გავლენის
ფართომასშტაბიანი კვლევა

საქართველოს მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, COVID-19-ის პანდემიის მართვისა და გავლენის ფართომასშტაბიანი კვლევა დაიწყო.

საქართველოს მთავრობის მეთაურის განცხადებით, *პანდემიასთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასება და ანალიზი, მათ შორის არსებული ხარვეზების გამოვლენა და გაანალიზება, რათა სახელმწიფო ინსტიტუტები მსგავს კრიზისებს უფრო ეფექტიანად გაუმკლავდნენ.*

კვლევის ძირითადი **მიზნებია:**

- პანდემიის მართვის „ქართული პრაქტიკის“ დეტალური გაანალიზება;
- პანდემიის გავლენის შეფასება საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებზე;
- არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება;
- სახელმწიფო ინსტიტუტების მზაობის შესწავლა;

დამოუკიდებელი კვლევის ფარგლებში გაანალიზდება საქართველოს მთავრობის მიერ კრიზისის მართვის პროცესში გადადგმული ნაბიჯები, შეფასდება სამართლებრივი ჩარჩო და ანტიკრიზისული ღონისძიებები. დამატებით, განმეორებითი კრიზისების წარმოშობის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობისა და მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, კვლევის მიგნებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შემუშავდება ასევე **რეკომენდაციები.**

კვლევა წარიმართება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. **კრიზისის მართვა;**
2. **სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი;**
3. **ადამიანის უფლებები პანდემიის პირობებში.**

კვლევა ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის** უშუალო კოორდინაციით. კვლევის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).